გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიხეილ გოგინაშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ. გორი 2023 წლის 25 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომერე: დავით რაზმაძე;

საკრებულოს წევრი: მიხეილ გოგინაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ვარიანის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა, და საკრებულოს აპარატის სპეციალისტი გვანცა ხაბელაშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე;

დღის წესრიგი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიხეილ გოგინაშვილის 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი მიხეილ გოგინაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს მიხეილ გოგინაშვილს რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ

პრობლემებს. საკრებულოს წევრმა მიხეილ გოგინაშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: ნუნუ განჯელაშვილმა, პაატა ველიჯანაშვილმა და ანი გოზალიშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: დავით რაზმაძე;

საკრებულოს წევრი : მიხეილ გოგინაშვილი;

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიხეილ გოგინაშვილის

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 19 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 316 საკითხის განხილვაში.

ვარ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის და ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიების წევრი. დავესწარი სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომას და მონაწილეობა მივიღე საკითხის განხილვაში. ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის 13 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 111 საკითხის განხილვაში.

მთელი წლის მანძილზე სისტემატიურად ვხვდებოდი ამომრჩეველს, ვეცნობოდი მათ პრობლემებს და საჭიროების შემდეგ კი გადავცემდი ინიციტივების სახით მერიას, კერძოდ:

- გაკეთდა ვარიანის შიდა გზები;
- მოწესრიგდა ვარიანის, შინდისისსა და ახალდაბის სარწყავი სისტემა.
- ასევე მოწესრიგა ქალაქ გორში, ჭალის დასახლებაში კორპუსების ეზოები.
- ამას გარდა საჭიროა სოფელ ვარიანში იაკობ გოგებაშვილის სახლმუზეუმთან მისასვლელი გზის მოასფალტება.
- ასევე სოფელ ფხვენისში მოსაწესრიგებელია წყლის სისტემა.

აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. ჩართული ვარ მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში მათ შორის: სამოქალაქო ბიუჯეტირების სამუშაო ჯგუფში, სადაც აქტიურად ვიღებ მონაწილეობას ბიუჯეტის ფორმირებაში.

ვარ მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრი, მონაწილეობას ვიღებ სახელმწიფო, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ გამართულ შეხვედრებში, რომელიც შეეხება გენდერის საკითხებს.

მთელი წლის წლის განმავლობაში სისტემატიურად ვხვდები საკრებულოში მოსულ მოქალაქეებს სხვადასვა საკითხებთან დაკავშირებით.